ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი **03.11.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;
ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;
არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;
გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის წარმომადგენლები:
ანზორ შაფათავა - დირექტორი;
ინეზა იამანიძე - დამფუძნებელი.

შპს ნერგების წარმომადგენლები:
თამაზ გეგეშიძე - დირექტორი;
ავთო აბაშიძე - დამფუძნებელი.

შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის წარმომადგენელი:
ეკა ფარცვანია - დირექტორი.

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის წარმომადგენელი:
ალექსანდრე ჯავახიშვილი - დამფუძნებელი.

სპს ლევან შავლაყაძე სპს - ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის წარმომადგენლები:
მედეა გორდაძე - დირექტორი;
გულნარა ბარაბაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
მაკა ტუკვაძე;
ნინო ვარდოსანიძე;
ნოდარ ანგურიძე;
ლელა ფიცხელაური;
თამარ კუპრაშვილი;
დიმიტრი პოპოვი;
ქეთევან ბოტკოველი;
ინგა კახიანი;
ნანა ედიშერაშვილი.

სხდომა დაიწყო 14:10 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ნერგების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის საკითხის განხილვა;
5. სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირებულა.

შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოზე წარადგინეს ექსპერტებმა მაკა ტუკვაძემ და ნინო ვარდოსანიძემ, მათ საბჭოს წარუდგინეს დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

ექსპერტის განმარტებით, სკოლის მისი იყო შემდეგი: „ჩვენი მისია ემსახურება, დროის შესაბამის განათლების შექმნას, იმ პრობლემათა გადაწყვეტის მიზნით, რასაც ქმნის XXI საუკუნე და რაზეც დაფიქრებაა საჭირო!

ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავის დროის დაპატრონება წერს ჰომეროსი. ჩვენს მოსწავლეებში ყველა ჭეშმარიტად დიდი ვერ იქნება და სწორედ ამიტომაა ფიქრი საჭირო, როგორ დავეხმაროთ მოზარდებს, რათა ისინი ვაქციოთ „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელ მოქალაქეებად". არადა სახელმწიფო დაკვეთა, რეფორმის ერთ-ერთი არსებითი დოკუმენტის, ეროვნული მიზნების მიხედვით სწორედ ესაა."

ზემოთხსენებულ დოკუმენტში ფაქტიურად განსაზღვრული იყო შედეგი - ისე რომ არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, როგორ მიიღწევა იგი. რა თქმა უნდა საქმე გვაქვს მოსწავლის ცნობიერების (ზოგადსაკაცობრიო) შეცვლის აუცილებლობასთან, რაც გათვლილია სახელმწიფო დაკვეთასთან შესაბამისობაში, პიროვნული აქტივობების ამოქმედებით. აუცილებელია მოქმედება, რათა არ დავკარგოთ მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები, რადგან „ბავშვის არსებული მონაცემები, არამარტო პირადი თვისებაა, არამედ იგი საზოგადოებრივი ფასეულობაცაა" და რისი დაკარგვის უფლება - არავის, მითუმეტეს სკოლას არ აქვს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის დირექტორის და დამფუძნებლის აზრით, სწავლების დღევანდელი პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ ქვეყანამ შეძლოს ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, რის საშუალებასაც მოკლებულია ეროვნული სასწავლო გეგმა და ეს ხარვეზი შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია და შევსებულია ისეთი პროექტების სწავლებით, როგორიცაა, რობერტ კიოსაკის (აშშ), ფინანსური წიგნიერების სწავლება ადრეული ასაკიდან ბიზნეს უნარ-ჩვევების შესწავლის მიზნით.

სკოლამ ცენტრში საავტორიზაციო განაცხადთან ერთად წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2016-2017 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტი და სკოლის მიერ განხორციელებული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დირექციის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ იყო ერთიანი დოკუმენტი, იგი წარმოადგენდა სხვადასხვა სასწავლო წლებში სკოლაში შექმნილ ან დამტკიცებულ

დოკუმენტთა ერთობლიობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგჯერ დოკუმენტებში აღწერილი ინფორმაცია არ ემთხვეოდა ერთმანეთს. (მაგალითად, შინაგანაწესის მე-5 მუხლის თანახმად სასწავლო წლის ხანგრძლივობა და სასწავლო რეჟიმი განისაზღვრება ხუთდღიანი სამუშაო კვირით და ორი დასვენების დღით, ხოლო მეორე დოკუმენტში მოხსენიებულია, რომ სასწავლო წელი განისაზღვრება ექვსი სამუშაო დღით და ერთი დასვენების დღით, რადგან სკოლაში მიმდინარეობს საგნების გაძლიერებული სწავლება.)

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მოითხოვეს 2015-2016 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა, რომელიც იდენტური იყო ცენტრში გადმოგზავნილი 2016-2017 წლის სასწავლო გეგმისა. აღნიშნული გეგმის თანახმად, მოსწავლეთა სიმცირის გამო შექმნილი იყო კლას-კომპლექტი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ X და XI კლასის მოსწავლეები. სკოლას ჰყავდა დამამთავრებელი XII კლასი.

ლიცეუმის სასწავლო სასკოლო გეგმის შემადგენელი ნაწილები იყო: საათობრივი ბადე - ცენტრში გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში ატვირთული იყო I-VI კლასების საათობრივი ბადე და 2010-2011 სასწავლო წლის VII-IIX კლასების საათობრივი ბადე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მათ ვერ ნახეს გაკვეთილების განრიგი დღეებისა და კლასების მიხედვით საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით.

სკოლას ჰქონდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების გაძლიერებული სწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ყველა იმ საგნის სწავლებას, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით. გეგმის მიხედვით, იყო ლიცეუმის კომპონენტებიც: ა) მსოფლიოხელოვნების ისტორია და კულტურა; ბ) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (X კლასში); გ) სპეციალური პროგრამა - ფინანსური თეორია (ბიზნესის საფუძვლები); დ) რელიგიების ისტორია; ე) გაღრმავებული პროგრამები, მაგრამ სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა აღნიშნული პროგრამები.

გაღრმავებული სახით წარმოდგენილი იყო პროგრამები შემდეგ დისციპლინებში: ქართულ ენასა და ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, მაგრამ წარმოდგენილი პროგრამები ეროვნული სასწავლო გეგმით VII-IIX კლასების სასწავლო პროგრამების იდენტურია და ძირითადად ეროვნული გამოცდებისა და საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებას ითვალისწინებს.

სკოლის დირექტორის განცხადებით, რადგან სკოლას ჰყავს პედაგოგების მცირე რაოდენობა, კათედრები გაერთიანებულია ერთ ჯგუფში და მასში შედის ყველა მასწავლებელი. ინტერვიურებით გაირკვა, რომ კათედრების სხდომები ტარდება ერთდროულად და აგრეთვე აქვთ სკოლის საგნობრივი კათედრის ერთი სამუშაო ჟურნალი, თუმცა ჟურნალში მხოლოდ საბუნებისმეტყველო მიმართულების პედაგოგები ფიქსირდებოდნენ. კათედრის სხდომები დასტურდება ოთხი ოქმით. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა, როგორც კათედრების, ასევე პედაგოგების პორტფოლიოები.

სკოლაში ნიშნების გამოანგარიშება ისევე ხდება, როგორც ეს არის გათვალისწინებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, იმ განსხვავებით, რომ კლასიდან კლასში გადასაყვანი ბარიერი, ასევე, საგანი რომ დაძლეულად ჩაეთვალოს, აგრეთვე, საფეხურის წარმატებით დამთავრებისათვის, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსწავლემ უნდა მიიღოს არანაკლები ექვსი ქულისა. გაცდენილი მასალა მოსწავლემ უნდა აღადგინოს დამატებითი შემაჯამებელი საკონტროლო წერით. დამატებითი მეცადინეობის საჭიროებას წყვეტს მასწავლებელი მოსწავლესთან კონსულტაციის შემდეგ.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, I კლასში მოსწავლე ქულებით არ ფასდება. კლასის დამრიგებელი მშობლებს ინდივიდუალურად წერილობით აცნობს მისი შვილის

განმავითარებელ კომენტარებს. სკოლის სასწავლო გეგმის თანახმად, შეფასების სისტემის მეორე, მეტად მნიშვნელოვანი, ფუნქციაა მისი გამოყენება სკოლის მისიის განხორციელების შედეგებისა და სხვადასხვა ,,გამოწვევის" შესაფასებლად. აქ არ იგულისხმება სასწავლო დისციპლინების შინაარსის ცოდნის შემოწმება (განსხვავებით ეროვნული სასწავლო გეგმისაგან). აქ მოიაზრება სხვადასხვა ტიპის სამუშაოებში (მიზნობრივ ტესტირებებში, პროექტებში, წერით, კვლევის მცირე დოზით, ექსპერიმენტულ, ლაბორატორიულ სამუშაოებში, ე.წ. ,,სამაგიდო თამაშებში"). დირექციის აზრით, ხდება არა მხოლოდ ცოდნის, არამედ შემოქმედებითი აქტიურობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების შეფასება, რაც, რთული პროცესია და რისთვისაც მეთოდური მასალებიც საკმაოდ მწირია. ასე რომ, სკოლის მისიის განხორციელება ნიშნავს წინასწარ განსაზღვრული მიზნით მოსწავლეთა აქტივობის შეფასებას, რაც, სკოლის სინამდვილეში, შედგება არა მხოლოდ სამი, არამედ 10 კომპონენტისაგან, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან განსხვავებით. აღნიშნული წესით განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში, ვიზიტის დროს, მოითხოვეს შემაჯამებელი ტესტები. ცენტრში გადმოგზავნილი შემაჯამებელი დავალებები ემთხვეოდა არსებულს, მაგრამ ტესტების ყურადღებით დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ ტესტზე გადასწორებული იყო, როგორც მოსწავლის სახელი და გვარი, ასევე მასწავლებლის ხელმოწერა. შემაჯამებელი წერები არასწორად იყო ჟურნალში გაფორმებული. ჟურნალების დათვალიერებისას აღმოჩნდა საგნები, რომელშიც მთელი წლის განმავლობაში არ იყო შეტანილი ნიშანი. ცენტრში წარმოდგენილია აღნიშნული მასალა დანართების სახით.

სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით დამრიგებელი ვალდებულია შეატყობინოს მშობელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ (შუალედური ნიშნები, სემესტრული და წლიური ნიშნები). ამასთანავე, დროულად აცნობოს მშობელს მოსწავლის ქცევასა, თუ აკადემიურ მოსწრებაში გამოვლენილი პრობლემები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლის დამფუძნებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ X; XI და XII კლასების დამრიგებლის თავად სკოლი დამფუძნებელი იყო, თუმცა დამრიგებლის მიერ ჩატარებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ლიცეუმმა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა.

სკოლის შინაგანაწესის მე-17 მუხლი არეგულირებს სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესსა და ფორმებს. სკოლაში მასწავლებელთა თეორიული და პროფესიული დონისა და მეთოდური დახელოვნების, შემოქმედებით ინიციატივების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს და პედაგოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია ლიცეუმის პედაგოგიური კადრების ატესტაციის დებულება. დებულების თანახმად, ატესტაცია ტარდება ორ ეტაპად, პირველ ეტაპზე მასწავლებლებისათვის კატეგორიების მინიჭების მიზნით ტარდება პრაქტიკული საქმიანობის მონიტორინგი, ხოლო მეორე ეტაპზე მასწავლებლის სამეცნიერო დონის დადგენის მიზნით ტარდება ტესტირება. ამის შემდეგ ენიჭება პედაგოგს კატეგორია, თუმცა ლიცეუმმა აღნიშნული ატესტაციის დოკუმენტაცია ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს ,,თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმი"მდებარეობს ქ.თბილისში, გოგებაშვილის ქუჩა N21/55-ში, სართული 1 და 2 საერთო ფართით 150.60 კვ.მ და სარდაფი 15.72კვ.მ. ლიცეუმსა და შენობის მეპატრონეს შორის გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულება 6 წლის ვადით. დაწესებულება განთავსებული კერძო სახლის შენობაში.

შენობის პირველ სართულზეა საერთო შესასვლელის მქონე ორი საკლასო ოთახი, სადაც დგას 6-6 ორადგილიანი მოსწავლის მერხი (სულ 12 ორადგილიანი მერხი). პირველ სართულზეა ბუფეტი, რომელსაც საერთო შესასვლელი აქვს ერთ-ერთ საკლასო ოთახთან და ერთი სველი წერტილი. მეორე სართულზეა: 3 საკლასო ოთახი, სადაც დგას 20 ორადგილიანი მერხი, კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა ერთ ოთახშია განთავსებული, დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა რომ, მასწავლებლები და დირექცია ბიბლიოთეკა-კომპიუტერულ კლასს იყენებს თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად.

შენობაში სულ 5 საკლასო ოთახია, სადაც განთავსებულია 32 ორადგილიანი მერხი. კომპიუტერულ ოთახში არის 4 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. ოთახებში გამოკრულია სასწავლო თვალსაჩინოებები.

დაწესებულებას სპორტული მოედანი ან დარბაზი არა აქვს. ლიცეუმს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს ,,ოაზისთან", საცურაო აუზით სკოლის მოსწავლეების სარგებლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, მომსახურების გამწევი უზრუნველყოფს თავისი ან მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით ლიცეუმის მოსწავლეებისათვის ცურვის გაკვეთილების ჩატარებას. სკოლას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ცურვა და ჭადრაკი.

სკოლას შესყიდული აქვს: ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია. ლაბორატორიისათვის განკუთვნილ ოთახში არ არის სველი წერტილი და გამწოვი კარადა.

ლიცეუმის საკლასო ოთახებს აქვს კარგი ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დაწესებულებას აქვს საკუთარი ელექტრო მრიცხველი. გათბობის საშუალებად გამოიყენება 8 ელექტროგამათბობელი, თუმცა მათი შესყიდვის დოკუმენტაცია ლიცეუმმა ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა. დაწესებულებაში განთავსებული იყო 2 სველი წერტილი. მეორე სართულზე მდებარე სველი წერტილი განკუთვნილი იყო სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენდა უნიტაზზე დადებულ სავარძლის კარკასს. დაწესებულებას დამზადებული ჰქონდა პანდუსები.

ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი განთავსებული იყო ერთ ოთახში. წიგნების თაროზე განთავსებული იყო ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოები. ლიცეუმს ჰქონდა საკუთარი ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებული იყო 300 ერთეული წიგნი, ბიბლიოთეკარის მოვალეობები შეთავსებული ჰქონდა ლიცეუმის დირექტორს. ბიბლიოთეკაში არა იყო გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო განრიგი. არ იყო მკითხველის ბარათები და რეგისტრაციის ჟურნალი. ასევე, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები არცერთ დოკუმენტში არა იყო გაწერილი.

დაწესებულებას ჩატარებული ჰქონდა SWOT ანალიზი, რომლის თანახმადაც, დაწესებულებაში გამოიკვეთა სუსტი მხარეები. ლიცეუმის სუსტ მხარეს საკუთარი შენობის არქონა წარმოადგენდა, თუმცა სტრატეგიულ გეგმაში პრობლემის მოგვარების გზებზე და ღონისძიებებზე არაფერი იყო აღნიშნული.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს სკოლის თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრა ხელშეკრულებების მიხედვით მოხდა, რადგან სკოლამ ვიზიტის პერიოდში საშტატო განრიგი ვერ წარმოადგინა. ხელშეკრულებების მიხედვით, სკოლაში იყო 18 თანამშრომელი. აქედან 14 პედაგოგი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სკოლას 2 სერტიფიცირებული პედაგოგი ჰყავდა, 4 პედაგოგი ჩართულიიყო სქემაში (საჯარო სკოლის პედაგოგები). ლიცეუმმა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რომელიც

შეესაბამისი იქნებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვასთან.

სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას წარმოადგინა პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებული იყო 2015 წლის 15 სექტემბერს და მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 1 წლით. ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული, თანამდებობა, შრომის ანაზღაურება გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურები წესი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა იყო ბუნდოვანი და არ შეესაბამებოდა სკოლის საათობრივ ბადეში განაწილებულ საგნების საათობრივ დატვირთვას.

ლიცეუმი არ იყო ჩართული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". თუმცა, შემუშავებული იყო ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. კერძოდ, საწესებულებაში მოქმედებდა პედაგოგიური კადრების ატესტაციის დებულება, რომლის თანახმადაც, პედაგოგებს სამ წელიწადში ერთხელ უტარდებოდათ ატესტაცია. ატესტაცია ორ ეტაპად მიმდინარეობდა და პირველ ეტაპზე ხდებოდა პრაქტიკული საქმიანობის მონიტორინგი. მეორე ეტაპზე კი მასწავლებლის სამეცნიერო დონის განსაზღვრა შესაბამისი ტესტით. თუმცა, ვიზიტის დროს ატესტაციის განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ვიზიტის პერიოდში ლიცეუმის მოსწავლეებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, შედგა მხოლოდ ერთ მშობელთან ინტერვიურება, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლაში იყო დაცული და უსაფრთხო გარემო, პედაგოგები იყვნენ ყურადღებიანები და პროფესიონალები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა 5 დღიანი სამუშაო კვირა, რაც ასევე შინაგანაწესში იყო გაწერილი. 6 დღიანი კვირა სრულიად სხვა ფუნქციით იყო შემოტანილი და არ იყო სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება ბიზნეს სამაგიდო თამაშებისთვის, რომელიც ფაკულტატურის სახით იყო შემოტანილი.

რაც შეეხებოდა ნიშნების შეტანას ჟურნალში, დირექტორის განმარტებით, ეს ეხებოდა მხოლოდ მათემატიკას, ვინაიდან მასწავლებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო სტრესულ სიტუაციაში, თავად ვერ მოახერხა ნიშნის შეტანა და ამის გაკეთება სთხოვა დამფუძნებელს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს პირად ბლოკნოტში ყველა ნიშანი შეტანილი ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბლოკნოტის ნაცვლად ჟურნალში შეეძლო მასწავლებელს შეეტანა ნიშნები.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს თუ რამდენი მოსწავლე ჰყავდათ, რაზეც უპასუხეს, რომ დაწესებულებას ჰყავდა 22 მოსწავლე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რომ როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გაუვიდა 2016 წლის 6 სექტემბერს. შესაბამისად, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა მიმდინარეობდა თუ არა არაავტორიზებულ რეჟიმში სასწავლო პროცესი, რაზეც დაწესებულებამ განუმარტა, რომ ვინაიდან არ ჰქონდათ ავტორიზაცია, სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა, ხოლო ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ შაბათი დღეების გამოყენებას გეგმავდნენ, რათა მოსწავლეებს დაეძლიათ სასკოლო პროგრამა.

რევაზ აფხაზავას განმარტებით, როგორც მისთვის იყო ცნობილი, 2016 წლის 19 სექტემბრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იყო აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა, თუმცა სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო საკითხის

განხილვა გადაიდო 4 ოქტომბრის სხდომისთვის. 2016 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე ჩატარდა შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხის განხილვა. საბჭომ საკითხის სრულყოფილად და სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საბჭომ 3 ნოემბრისთვის გადადო საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ დაწესებულებაში კლას-კომპლექტები გამოიყენება მაშინ, როდესაც სხვა ალტერნატივა არ იყო და დაინტერესდა, როგორ მიაჩნდა დაწესებულებას, რამდენად მიზანშეწონილი იყო ყოველივე ზემოაღნიშნული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლას-კომპლექტი გამოიწვია ექსტერნის ჩამბარებელთა შემოსვლამ, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ საჭიროდ ჩათვალა, დაეკონკრეტებინა რევაზ აფხაზავას შეკითხვა: როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება ხარისხიანი განათლების მიწოდებას კლას-კომპლექტებით. საბჭოს წევრმა არჩილ სუმბაძემ დასძინა, რომ არჩევით საგნებსაც რომ თავი დავანებოთ, მე-10 მე-11 კლასების სასწავლო ბადე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სპორტი, ხელოვნება და მსგავსი ასეთი საგნებია იყო გაერთიანებული და სხვა საგნები არა. საბჭომ ექსპერტს სთხოვა ამ ინფორმაციის დადასტურება, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ჟურნალები ჩვეულებრივი კლას-კომპლექტის იყო. შესაბამისად, არ დასტურდებოდა, რომ კლას-კომპლექტები იყო მხოლოდ სპორტის, ხელოვნების და სხვა მსგავს საგნებში. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მათ ჰქონდათ კარგი მატერიალური ბაზა და კვალიფიციური ადამიანური რესურსი. დაწესებულების წარმომადგენელთა თქმით, 2011-2013 წლებში 76-მა მოსწავლემ დაამთავრა ლიცეუმი და ყველა მათგანი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში, რაც მათ ხარისხზე მეტყველებდა.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ მას არ ესმოდა სკოლის მისიის შინაარსი.

ავტორიზაციის ექსპერტის განცხადებით, შენიშვნები, რომლებიც დასკვნაში იყო მოცემული დაწესებულებამ ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოასწორა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ახალ სასწავლო გეგმაში გასწორებულია დასკვნაში ასახული შენიშვნები.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს, იყო თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოსწორებული ყველა ის ხარვეზი, რომელიც ფიქსირდებოდა დასკვნაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული ყველა ხარვეზი წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც არ იყო გამოსწორებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ასევე არსებით საკითხს წარმოადგენდა მაგალითად ის, რომ დაწესებულებაში არსებობდა გამჭოლი საკლასო ოთახები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საკლასო ოთახებს გაუკეთეს ტიხრები, რაც დასტურდებოდა წარმოდგენილი ფოტომასალით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფოტოებით აღნიშნული ფაქტი ვერ დასტურდებოდა. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადაპტირებული სველი წერტილი მიუღებელი იყო იმ ფორმით, რა ფორმითაც ის არსებობდა დაწესებულებაში და ესეც გამოუსწორებელ ხარვეზად რჩებოდა. ასევე გამოუსწორებელი ხარვეზი გახლდათ მასწავლებელთა შრომით ხელშეკრულებებში საათობრივი დატვირთვის ცხრილთან შეუსაბამობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს მხრიდან მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულების მიერ ხარვეზების გამოსწორების

დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემუშავებული და ცენტრში წარმოდგენილი იყო მას შემდეგ, რაც დაწესებულებაში დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ამასთან, საგულისხმო იყო ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასალებით ვერ დასტურდებოდა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს შემდეგმა წევრებმა: გრიგოლ მურღულიამ, შალვა ტაბატაძემ, რევაზ აფხაზავამ, მარინა უშვერიძემ, ქეთევან აბულაძემ, არჩილ სუმბაძემ, გიორგი გახელაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმს (ს/კ: 203843788) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს ნერგების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნოდარ ანგურიძემ:

პროგრამულ ნაწილთან მიმართებით:

საათობრივი ბადეში გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენდა არჩევითი საგანი, რომელიც ამოღებული იყო სკოლის საათობრივი ბადის XII კლასიდან, შესაბამისად მოსწავლეები არც სწავლობენ და არც ფასდებოდნენ აღნიშნულ საგანში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იყო დაკმაყოფილებული ეროვნული სასწავლო გეგმის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც X-XII კლასებში მოსწავლემ უნდა ისწავლოს არჩევითი საგნები 5 სემესტრის განმავლობაში, ხოლო იგივე დოკუმენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სკოლას უფლება არა აქვს საათობრივი ბადიდან საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2015-2016 და 2016-17 სასწავლო წლის შემაჯამებელი დავალებებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა რამდენიმე პედაგოგის მიერ შესრულებული სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებებ, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს შესრულებული აქვთ სსგ-ით განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებები. თუმცა, გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

- შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპისა იყო - ტესტური, თუმცა შეიცავდა დახურულ და ღია ტიპის დავალებებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 18. 5 ა) პუნქტის შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);
- მასწავლებლების მიერ იშვიათ შემთხვევაში (2016-2017 სასწავლო წელს) გაანალიზებული იყო შემაჯამებლი დავალების შედეგები, ამასთან ანალიზები იყო ზოგადი, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლეოდა პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის საშუალებებს;
- შემაჯამებელ დავალებებში იშვიათად ჩანდა სტანდარტის რომელ შედეგზე გადიოდა აღნიშნული ნამუშევარი. ესგ-ს მუხლი 18. 5 დ) პუნქტის თანახმად: თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ადმინისტრაციას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების ტიპების განსაზღვრაში.

ნოდარ ანგურიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დამრიგებლების საქაღალდეების შესწავლამ ცხადყო, რომ V-XII კლასების დამრიგებლებს არ ჰქონდათ გაკეთებული სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა დახასიათებები, I-IV კლასებში კი დახასიათებას და განმავითარებელ შეფასებას ზოგადი სახე ჰქონდა და არ ემსახურებოდა განმავითარებელ მიზნებს. ესგ-ს მუხლი 18. პუნქტი 2-ის შესაბამისად, I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოს და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. ხოლო ესგ-ს მუხლი 6. თ) პუნქტის შესაბამისად კი დამრიგებელი ვალდებულია V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები, როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში. დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის.

ნოდარ ანგურიძემ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მცირეკონტინგენტიანი კლასები, რაც საშუალებას იძლეოდა სასწავლო პროცესი მეტად ორიენტირებული ყოფილიყო თითოეულ მოსწავლეზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლამ და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოცდების გრაფიკით 2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში გადასაყვანი შემდეგი საგამოცდო საგნები: VI კლასში (ქართული, მათემატიკა, ინგლისური), ხოლო IX კლასში (ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ხელოვნება). აღნიშნულ საგნებში მიღებულმა ქულებმა გავლენა იქონია საგნის საბოლოო შედეგზე, შესაბამისად მიღებული ქულები დაფიქსირებულია საკლასო ჟურნალებში. აღნიშნულით დარღვეულია ესგ-ს მუხლი 23^2 რომლის თანახმადაც, სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც. ამავდროულად წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე.

სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად დადგენილი სასწავლო წლის/საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი შეუსაბამობაში იყო ერთმანეთთან, კერძოდ: სსგ-ს მიხედვით კლასი/საფეხური დაძლეულად ჩაითვლება თუ მოსწავლის საერთო ქულა დამრგვალების შემდეგ არის 5.0 ან მეტი, ხოლო სკოლის შინაგანაწესის 29.9 პუნქტის შესაბამისად თუ მოსწავლის მოსწრების მაჩვენებელი 5 ქულა ან

ნაკლებია მოსწავლე რჩება იმავე კლასში, კურსის განმეორებით მოსასმენად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სასკოლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების დირექტორს მისცა შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრება ექსპერტთა დასკვნაში პროგრამულ ნაწილთან მოცემულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ყველა შენიშვნა იყო სამართლიანი. შემაჯამებლებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს მისი და სასწავლო ნაწილის გამგის უყურადღებობის ბრალი იყო და ახლა სკოლას ახალი სასწავლო ნაწილის გამგე ჰყავდა, რომელიც უზრუნველყოფდა პროცესის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში წარმართვას. დაწესებულებას სურდა, საბჭოსთვის წარედგინა ყველა ხარვეზის გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენელს მიუთითეს ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს მხრიდან მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა სადამრიგებლო პროგრამებს, რაზეც ექსპერტმა გააკეთა დამატებითი განმარტება, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზე არ ხდებოდა მოსწავლეთა დახასიათებები, რაც მათ ძირითად შენიშვნას წარმოადგენდა. ამის პასუხად, დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება. სხდომის თავმჯდომარის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ხშირად სკოლების მიერ ხდებოდა სადამრიგებლო პროგრამების მხოლოდ სასკოლო ღონისძიებებთან გაიგივება.

მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

შპს „ნერგები" ფუნქციონირებდა ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩა №20-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობის ნაწილში, კერძოდ შენობის მარცხენა ნაწილის მეორე მესამე და მეოთხე სართულებზე (პირველ სართულზე კომერციული ფართრბია). შენობა ორი კერძო პირის საკუთრებას წარმოადგენდა. ერთი მათგანი სკოლის დამფუძნებელი იყო და მასვე ჰქონდა მინდობილობა მეორე პირისგან, რომელიც სკოლას აღებული ჰქონდა იჯარით. საგულისხმოა, რომ ვიზიტის პერიოდისთვის იჯარის ხელშეკრულებას მოქმედების ვადა იყო გასული (ხელშეკრულებების მიხედვით იჯარა გაფორმებული იყო სამი წლით), ამიტომ სკოლამ დაიწყო იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების პროცედურა და საჯარო რეესტრში შეიტანა განაცხადი ახალი იჯარის დარეგისტრირებაზე. დასკვნის მომზადების პროცესში საჯარო რეესტრში განახლდა ამონაწერი №05.25.06.030.01.500 და №05.25.06.030.01.506, თუმცა არც ერთში არ ჩანს იჯარის ვადა, ამასთან ორივე მათგანში ისევ ძველი იჯარის ხელშეკრულებაა მითითებული.

აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ სკოლაზე გადაცემულია მესაკუთრეთა მფლობელობაში არსებული მთლიანი ფართები 594 კვ.მ და 359,77 კვ.მ მაშინ როდესაც მათ საკუთრებაში არსებული ფართების ნაწილში (კერძოდ პირველ სართულზე), როგორც ზემოთ აღინიშნა, კომერციული ფართებია. ეს ფართი დოკუმენტურად არ იყო გამიჯნული.

ვიზიტის პერიოდში სკოლას უდასტურდებოდა 285 მერხისა და სკამის ფლობა, თუმცა ვიზიტის პირველ დღეს საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 241 მერხი და სკამი. ვიზიტის მესამე დღეს სკოლამ თავისუფალ საკლასო ოთახსა და სააქტო დარბაზში განათავსა

დამატებით 41 მერხი და 11 სკამი (სულ 282 მერხი და 252 სკამი). ამ დამატებული მერხების ფლობის დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა.

სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობები იყო ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ფეხბურთი. ჭადრაკისთვის სკოლას შეძენილი ჰქონდა 7 დაფა, ჩოგბურთის მაგიდა იდგა სკოლის ერთ-ერთ თავისუფალ კლასში, ხოლო ფეხბურთისთვის სკოლა სარგებლობდა სპორტული მოედნით, რომელიც მდებარეობდა სკოლის შენობიდან მესამე კორპუსის ეზოში, ქუჩის იგივე მხარეს რა მხარესაც სკოლა მდებარეობს და ამდენად მოსწავლეთა მიყვანა სპორტულ მოედნამდე და უკან უფროსის ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდებოდა უსაფრთხოდ. სტადიონის სარგებლობაზე სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო ბათუმის დავით აღმაშენებლის ქუჩის 10ა კორპუსის ამხანაგობასთან (ბეჭედში საიდ. ნომერი მითითებულია 245576559), თუმცა ასეთი სუბიექტი მეწარმეთა რეესტრში არ იძებნება, ამასთან სპორტული მოედანის მესაკუთრე იყო არა ამხანაგობა, არამედ ბათუმის მერია.

აღსანიშნავია, რომ სკოლის შიდა ეზოს მიმდებარედ სკოლის დამფუძნებლის საკუთრებაში იყო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 05.25.06.060), რომელზეც განთავსებული იყო სარემონტო სპორტული მოედანი. აღნიშნული ფართის სკოლისთვის გადაცემისა და რემონტის ჩატარების შემთხვევაში სკოლას ექნებოდა სპორტული გაკვეთილის ჩატარებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ადაპტირებული სველი წერტილი მდებარეობდა შენობის მესამე სართულზე და იყო ნაწილობრივ ადაპტირებული, რადგან სველ წერტილებთან საჭირო იყო საყრდენების დამონტაჟება. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავდა ისეთი კატეგორიის სსსმ მოსწავლე, რომელსაც ესაჭიროება ეტლით გადაადგილება.

ვიზიტის დასაწყისში სკოლაში მხოლოდ შიდა კამერები იყო დამონტაჟებული, ვიზიტის პერიოდში სკოლამ მთავარ შესასვლელზე დააყენა ერთი გარე პერიმეტრის შესაბამისი პარამეტრების მქონე კამერა. მთავარი შესასვლელის მეორე კამერის და უკანა ეზოში გამავალი სათადარიგო შესასვლელისთვის სკოლა აპირებდა კამერების და ჩამწერი მოწყობილობის შეძენას, რადგან არსებული ჩამწერი მხოლოდ ოთხი კამერის ერთდროული მონიტორინგისთვის იყო განკუთვნილი. კამერების გამოსახულებები აისახებოდა კომპიუტერულ ოთახში მონიტორებზე. სკოლას ვიზიტის დასაწყისისთვის გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება დარაჯთან, თუმცა მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ასახული არ ჰყავდა და მხოლოდ ვიზიტის მეორე დღეს ასახა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შინაგანაწესის თანახმად სკოლაში მასწავლებლებთან ერთად შემოღებული იყო მშობელთა მორიგეობაც.

დაწესებულების წარმომადგენელს მიეცა შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრება დასკვნის მატერიალურ რესურსის ნაწილთან მიმართებით. მან დაადასტურა, რომ იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების პროცედურა იყო დაწყებული და აღნიშნა, რომ სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში და ვინაიდან სკოლას ჯერჯერობით არ სჭირდებოდა პირველი სართული, ამიტომ იყო პირველ სართულზე კომერციული ფართები, თუმცა, თუ სკოლას დასჭირდებოდა აღნიშნული ფართის ათვისება, შეეძლო პირველი სართულის გათავისუფლებაც.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ჰქონდა თუ არა სკოლას იზოლირებული შესასვლელი, რაზეც ექსპერტებისგან დადებითი პასუხი მიიღეს. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ დოკუმენტურად ვერ შეძლეს რეალური ფართის განსაზღვრა, თუმცა ადგილზე

დათვალიერებით დარწმუნდნენ, რომ სკოლა ფლობს სამ სართულს და არ ფლობს პირველ სართულს.

რაც შეეხებოდა სპორტულ მოეტანს, ექსპერტთა განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება იყო 1 წელზე ნაკლები ვადით დადებული და პრობლემას წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარე, კერძოდ, ამხანაგობას ჰქონდა ნებართვა გაცემული, თუმცა მერიის საკუთრებაში იყო აღნიშნული სპორტული მოედანი და ამხანაგობას არ ჰქონდა ნებართვის გაცემის უფლება. დაწესებულებამ განაცხადა, რომ ამასთან დაკავსირებით მერიაში 28 ოქტომბერს შეიტანა წერილი, ამასთან, 1 თვეში დასრულდებოდა მათსავე საკუთრებაში არსებულ ფართზე სტადიონის რემონტი.

ადაპტირებულ სველ წერტილთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განაცხადა, რომ გააკეთებს საყრდენებს.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

სკოლის შინაგანაწესის 25-ე თავში მოცემულია წახალისებისა და დისციპლინური სასჯელების ჩამონათვალი და განმარტება იმის შესახებ, რომ შრომაში მოპოვებული წარმატებისთვის თანამშრომლები წახალისდებიან, ხოლო შრომის დისციპლინის დარღვევისთვის დირექტორის მიერ გამოიყენება შემდეგი სასჯელები და მოცემულია სასჯელების ჩამონათვალი. ამგვარი სადისციპლინო პოლიტიკა, მოკლებულია გამჭვირვალობას და სამართლიანობას. სასურველია სკოლის მიერ განსაზღვრული იყოს დისციპლინური გადაცდომის სახეები და მათი შესაბამისი დისციპლინური სახდელები.

ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ იყო თანხვედრაში ცენტრში წარმოდგენილ ხელშეკრულებებთან. ადგილზე ნანახი ხელშეკრულებები დადებული იყო 2016 წლის 1 სექტემბერს და მოქმედებდა 2016-2017 სასწავლო წლის დასრულებამდე, მათში არ იყო მოცემული ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შვებულების მიცემის წესი და სხვა არსებითი პირობები.

გარდა ამისა შეუსაბამობა იყო სკოლის ძირითადი დოკუმენტების მუხლებს შორის ხელშეკრულებების დადებასა და მოშლასთან დაკავშირებით, კერძოდ სკოლის წესდების მიხედვით თანამშრომლებთან ხელშეკრულებებს უფორმებდა სკოლის დამფუძნებელი და ეს ასე არ იყო გაკეთებული, თუმცა ამავე წესდებაში დირექტორის ფუნქციებში არის ჩანაწერი, რომ დირექტორი უზრუნველყოფს თანამშრომლებთან ხელშეკრულების დადებას და უფლებამოსილია ხელშეკრულება ვადამდე შეუწყვიტოს სკოლის პედაგოგს. ექსპერტთა მოსაზრებით არ იყო სწორი, რომ ერთი მართველობითი ორგანო დებდეს პირთან ხელშეკრულებას, ხოლო მეორეს ჰქონდეს უფლება მოშალოს იგივე ხელშეკრულება.

საწინააღმდეგო რეგულაცია იყო მოცემული შინაგანაწესში, კერძოდ, დირექტორის ფუნქციებში ეწერა:

10.12 ახორციელებს კადრების შერჩევისა და დაქირავების პოლიტიკას. დებს შრომით ხელშეკრულებებს (ახალ თანამშრომელთან გამოსაცდელი ვადით) სახელმწიფო სერთიფიცირების ძალაში შესვლამდე ვადით;

10.13. პედაგოგის ან დამხმარე-ტექპერსონალის მხრიდან, სკოლის შინაგანაწესის დარღვევის, საჭიროების არქონის, ან არაკვალიფიციურობის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოს შრომის კოდექსის (მუხლი 37, პ.1 და მუხლი 38, პ. 1-2) მოთხოვნათა შესაბამისად და "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის (მუხ. 43. პ.2.) საფუძველზე დამფუძნებლის წინაშე სვამს საკითხს დაქირავებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

სკოლაში თანამშრომლობის ფარგლებში მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, შემუშავებულია ურთიერთდასწრებისა და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.

სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩევითი ორგანოა. შექმნილია სხვადასხვა კლუბები („ჩვენ და ქიმია“, „ახალგაზრდა აღმომჩენები“, „ინგლისური ენის მოყვარულთა კლუბი“) გაერთიანებებში მოსწავლეთა ჩართულობით იზრდება, როგორც მათი უნარების მაქსიმუმის გამოვლენის შესაძლებლობა, ასევე ემპათია და ურთიერთპატივისცემა. სკოლის სასკოლო გეგმაში დამატებითი სააღმზრდელო მომსახურებაში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობები (ექსკურსიები, პროექტები, კონკურსები და სხვა), რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

სკოლის პედაგოგებმა, მშობლებმა და აღსაზრდელებმა ინტერვიუირებისას განმარტეს, რომ სკოლაში იყო კეთილგანწყობის ატმოსფერო არის სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე, რაც სხვა სკოლებისგან მას გამოარჩევს.

საბჭოს წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები არ იყო თანხვედრაში ცენტრში წარმოდგენილ ხელშეკრულებებთან. საბჭომ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაწესებულებას საბჭოს სხდომამდე შეეძლო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენიშვნების უმრავლესობა იყო უკვე გამოსწორებული, რაც შეეხებოდა პედაგოგის დანიშვნისა და გათავისუფლების წესს და დანარჩენ შენიშვნებს გაითვალისწინებენ და მოიყვანდნენ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი რესურსებით საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 250 მოსწავლისთვის. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნერგებისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ნერგებს (ს/კ: 245439878) 6 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

საბჭოს წევრებმა ცენტრს მიმართეს შუამდგომლობით, რომ დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი, რა დროსაც უნდა გადამოწმებულიყო, რამდენად იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებული.

3. შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოადგინეს მაკა ტუკვაძემ და თამარ კუპრაშვილმა:

ექსპერტთა განცხადებით, პროგრამულ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლას, თუ როგორ აგვარებდნენ მშობელთა ჩართულობის პრობლემას. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თითოეულ ბავშვს, კერძოდ, მაგალითად, როდესაც მოსწავლე აცდენდა სკოლას, დაუყონებლივ ეცნობებოდა ამის შესახებ მშობელს. მშობელთა ჩართულობას ხელს უწყობდა ასევე ის გარემოებაც, რომ ზუგდიდი იყო პატარა ქალაქი, და შესაბამისად, მშობლებიც უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ათზე მეტ მშობელს გაესაუბრნენ და ისინი სკოლით კმაყოფილები იყვნენ.

მატერიალურ სტანდარტთან მიმართებით:

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სკოლას სველი წერტილი ჰქონდა გარეთ. შენობის შიგნით არის განთავსებული სველი წერტილი, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ასევე აღინიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა სამკითხველო დარბაზი, თუმცა ჰქონდა წიგნსაცავი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი რესურსებით საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 180 მოსწავლისთვის. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯს (ს/კ: 220348657) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

4. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მაკა ტუკვაძემ და დიმიტრი პოპოვმა აღნიშნეს რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი რესურსებით საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 700 მოსწავლისთვის. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს არასახელმწიფო საერო სკოლა ალბიონს (ს/კ: 206217440) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით.

5. სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ქეთევან ბოტკოველმა, ნანა ედიშერაშვილმა და ინგა კახიანმა წარმოადგინეს. ექსპერტთა განმარტებით, პროგრამულ და ადამიანურ ნაწილთან დაკავშირებით ხარვეზი არ იქნა გამოვლენილი. რაც შეეხება მატერიალურ ნაწილს, საევაკუაციო გეგმა იყო ხელით დახაზული და არ იყო სათანადოდ დამოწმებული.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები დარჩნენ მოსწავლეებთან გასაუბრებით და ასევე ხაზი გაუსვეს, რომ სწავლის ღირებულება შეადგენდა თვეში მხოლოდ 12 ლარს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სკოლის სახელწოდებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, რადგან სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ტექნიკურ საგნებში გაძლიერებულ სწავლებას, ამიტომ ეწოდა ეს სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, რამდენი მოსწავლისთვის შეეძლო სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას თავისი რესურსებით საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 280 მოსწავლისთვის. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს ლევან შავლაყაძე სპს ხონის ტექნიკური შემოქმედების გიმნაზიას (ს/კ: 244958364) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე